საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1868
20/03/2023

1868-21-2-202303201242

შპს „აგროპრომექსს“
მის: შალვა ნუცუბიძის ქუჩა, №58, კორპ. 16, ბინა №3
ელ. ფოსტა: sarkisianin@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №805 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით საპროექტო ტერიტორია - ხაზობრივი ნაგებობის ნაწილი (517 მეტრი სიგრძის მილი), აგრეთვე წყალაღებისთვის გათვალისწინებული ორი ტუმბო ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში (წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოს კვარტალი N46), შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში ნათლად უნდა აისახოს პროექტის შედეგად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების შესახებ ინფორმაცია, საჭიროა დაზუსტდეს პროექტის განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულია თუ არა ხე-მცენარეების ჭრა, ამასთან, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის მიხედვით „ტერიტორია არ წარმოადგენს ხმელეთის ცხოველებისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს“, რაც საჭიროებს დასაბუთებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო